პომენტური

2023 წელი

რა არის „კომენტარი“?

პლატფორმა „კომენტარი“ 2022 წლის გაზაფხულზე დაარსდა. „კომენტარი“ მიიჩნევს, რომ კრიტიკის ობიექტი არა მხოლოდ სახელმწიფო, ან უმრავლესობაა, არამედ ნებისმიერი მჩაგვრელი, ან/და ჩაგვრის გამართლება. „კომენტარი“ კრიტიკული პროექტია როგორც შინაარსის, ისე მეთოდის თვალსაზრისით.

კრიტიკული შინაარსი გამოიხატება „კომენტარის“ ამოცანაში:

- გამოააშკარაოს არა მხოლოდ კრიზისი, არამედ გააცნობიეროს მისი მიზეზები;
- შეიმუშაოს ცვლილებების თეორია, რომელიც დაეფუძნება ერთიან თეორიულ ჩარჩოსა და ინტერდისციპლინარულ მიდგომას.

მუშაობის კრიტიკული მეთოდოლოგია გულისხმობს:

- **სოლიდარობას** - უსამართლობასთან დასაპირისპირებლად აუცილებელია თანაგანცდაზე დაფუძნებული ფართო ალიანსი; „კომენტარის“ მისიაა ჩაერთოს სისტემის წინააღმდეგ არგუმენტების შემუშავების პროცესში და ჩამოაყალიბოს მოთხოვნები მის შესაცვლელად;
- **დიალოგს** - მოქალაქეობა საკმარისი ლეგიტიმაციაა საერთოს შესახებ აზრის გამოსათქმელად, ამიტომ „კომენტარი“ იყენებს მსჯელობის საყოველთაო ჩართულობაზე დაფუძნებულ ფორმებს. ამ პროცესში შემუშავებული არგუმენტებისა და მოთხოვნების გადმოცემის ფორმა თავად უნდა იყოს დემოკრატიული;
- **მონაწილეობას** - დემოკრატიული ცვლილებებისთვის მხოლოდ ანალიტიკური სამუშაო არ არის საკმარისი, ის მოითხოვს თეორიის და პრაქტიკის ერთიანობას. „კომენტარი“ უბრალოდ კი არ აკვირდება, უშუალოდ მონაწილეობს პროცესებში.

პოლიტიკური კონტექსტი

- **ომი უკრაინაში** - რუსეთის უკრაინაში **შეჭრამ** გაამწვავა ომთან დაკავშირებული ტრავმები საქართველოში და გაზარდა დაუცველობის შეგრძნება მოსახლეობაში. ამის ფონზე, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, თვალსაჩინო გახდა „ქართული ოცნების“ შეცვლილი რიტორიკა სტრატეგიული პარტნიორების მიმართ და დაახლოება **მემარჯვენე პოპულისტურ ძალებთან;**

- **დემოკრატიის უკუსვლა** - 2021 წელს, „ქართული ოცნების” „შარლ მიშელის შეთანხმებიდან” **გამოსვლით** და რეფორმებზე **დემონსტრაციულად უარის თქმით** დაწყებული არადემოკრატიული ნაბიჯები განსაკუთრებული ინტენსივობით 2022 წელს გაგრძელდა.

- **კანდიდატის სტატუსი** - 2022 წელს საქართველომ ვერ შეძლო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვება და სტატუსის მისაღებად 12 წინაპირობა მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ **ამ რეკომენდაციების** არსებითი ნაწილი დღემდე შეუსრულებელია, 2023 წლის დეკემბერში, ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭა. ვფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება არსებითად გეოპოლიტიკური განზომილებით არის განპირობებული.

- **ძალაუფლების კონსოლიდაცია** - „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის მეთერთმეტე წელს, თვალსაჩინოა ძალაუფლების **კონსოლიდაციის** განსაკუთრებული ხარისხი და განსხვავებული ხმების ჩახშობის უხეში მეთოდები. ამის ნათელი მაგალითი იყო 2023 წლის მარტში ინიცირებული კანონპროექტები უცხოური გავლენის რეგულირების შესახებ.

- **მძიმე სოციალური ფონი** - დემოკრატიული გარემოს გაუარესების პარალელურად, მკვეთრად გაზრდილია **ემიგრაციაში წამსვლელთა რიცხვი.** 2022 წელს, **100 000-ზე მეტმა მოქალაქემ დატოვა ქვეყანა.** რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების ფონზე კი, მასშტაბურად გაიზარდა რუსეთის მოქალაქეების შემოდინება საქართველოში, რამაც განაპირობა ფასების დრამატული ზრდა საცხოვრებელზე და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებზე. ქვეყნის მოსახლეობის **16% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს და სოციალურ შემწეობას იღებს 600 000 ადამიანზე მეტი;**

- **პოლარიზაცია** - დღეს, საქართველოში პოლიტიკურ ელიტებს შორის პოლარიზაცია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ამ დაპირისპირებას ერთადერთი მოტივი აქვს, ეს ძალაუფლების **მოპოვება და შენარჩუნებაა.** მოქალაქეთა შორის იზრდება ნიჰილიზმი და გაუცხოება მთლიანად პოლიტიკის და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. ეს ზრდის მოსახლეობაზე პროპაგანდის გავლენის საფრთხეს და საზოგადოებრივი განწყობებით მანიპულირების შესაძლებლობას;

- **2024 წლის არჩევნები და პოლიტიკური ნიჰილიზმი** - ამომრჩეველთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ მათ ინტერესს **არცერთი პარტია არ გამოხატავს,** არსებული სისტემა კი სავსეა ახალი პოლიტიკური პროექტების დამაბრკოლებელი გარემოებებით. მათ შორის პირველი 5%-იანი საარჩევნო ბარიერია. ამ პირობებში მოსალოდნელია, რომ მომავალში ამომრჩეველთა ხმების დიდი ნაწილი დაიკარგება.

„კომენტარის“ საქმიანობა

პროცესების ანალიზი კრიტიკული თეორიით :

ამ პერიოდში დავამუშავეთ 26 საკითხი, მოვამზადეთ 106 სტატია, მათგან: 80 - საინფორმაციო, 26 კი - ანალიტიკური.

უფრო დეტალურად:

34 სოციალური პოლიტიკა

53 სამართლის პოლიტიკა

19 დემოკრატია

სულ 106

სამართლის პოლიტიკა

- სასამართლოს ინსტიტუციური გამოწვევები;
- სამართლიანი მართლმსაჯულების კონცეფცია;
- სესხების პრობლემა და სასამართლო პრაქტიკა;
- სასამართლოს როლი სოციალური დახმარების სისტემაში;

სოციალური პოლიტიკა

- ეკონომიკური ზრდა და მისი გავლენა ადამიანებზე;
- ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და მისი მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურობაზე;
- პლატფორმული ეკონომიკა;
- ზეგანაკვეთური შრომა;
- გავალიანება და ადამიანის უფლებები;
- უცხოური კაპიტალის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;
- შრომითი მიგრაცია;

დემოკრატია

- პოლარიზაცია და მისი შედეგები;
- გარდამავალი მართლმსაჯულების იდეა;
- საზოგადოების საჭიროებები და პოლიტიკური დღის წესრიგი;
- მაჟორიტარული და კონსენსუალური დემოკრატია;

„კომენტარის“ საქმიანობა

ცოდნაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

„კომენტარმა“ შექმნა სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ვებ.გვერდი, რომლის მიზანია ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სახელმწიფო ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქეების მეტად ჩართვა მნიშვნელოვან დისკუსიებში. სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე ითარგმნა **28 სტატია;**

ჩვენი ანალიტიკური სტატიები ასევე ითარგმნება ინგლისურ ენაზე, რათა საქართველოში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება. ამ პერიოდში ინგლისურად ითარგმნა **20 სტატია.**

კომენტარის ვებ-გვერდი ფუნქციონირებს 4 ენაზე:

ქართული | ინგლისური | სომხური | აზერბაიჯანული



„კომენტარის“ საქმიანობა

მულტიმედია პროდუქტები

▶ ვიდეო

კომენტარმა მოამზადა 37 ვიდეორგოლი:

11	8	15	3
სოციალური პოლიტიკა	სამართლის პოლიტიკა	დემოკრატია	გადაცემა

▶ პოდკასტი

მომზადდა პოდკასტის 5 ეპიზოდი:

▶ ვიზუალიზაცია

პლატფორმის ვებ და სოციალური მედიის გვერდებზე, სხვადასხვა თემაზე, გამოქვეყნდა **ქარდების 23 სერია**.

„კომენტარის“ საქმიანობა

კრიტიკული თეორიის გავრცელება

დემოკრატიული დიალოგი თანამოქალაქეებთან:

- თბილისში 3 შეხვედრა თეატრ ჰარაკში;
- ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, ახალქალაქში, ნინოწმინდაში, გორში, შეხვედრები საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან;

სკოლები:

- „საქართველოს გზა ევროკავშირისკენ - პირობები და შესაძლებლობები“;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ლექციების ციკლი „სამართლის კრიტიკული თეორია – პერსპექტივა კრიზისის შემდეგ“;

კონფერენცია:

- „მართლმსაჯულება კრიტიკული პერსპექტივიდან - სასამართლოს როლი სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევაში“

„კომენტარი“ რიცხვებში

▶ ვებგვერდზე აქტივობები:

13 K ახალი მომხმარებელი;
11 K საქართველოდან;
2 K მსოფლიოდან;
114 ათასი შემოსვლა ვებ-გვერდზე;

▶ სოციალური ქსელები - ჯამური მიღწევადობა (REACH):

ჯამში - 834 570

453 969
126 601
254 000

▶ გენდერი



▶ რეგიონები:



პროექტები:

- **„სოციალური პოლიტიკის ცვლილებისთვის“** - დონორი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი, ბიუჯეტი: 58 000 ლარი

- **„საქართველოს კონსტიტუციური ინსტიტუტების ლეგიტიმაციის კრიზისის ანალიზის გზით ინკლუზიური და კონსენუალური პოლიტიკური გარემოს მხარდაჭერა”** - დონორი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო, ბიუჯეტი: 17 996 ლარი

- **„სამოქალაქო ჯგუფების ინფორმაციული გაძლიერება"** - დონორი: USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამა. ბიუჯეტი: 6000 ლარი.

- **„მართლმსაჯულების სისტემის დემოკრატიზაციის ხელშეწყობა საქართველოში“** - დონორი: USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა, ბიუჯეტი: 43 494 აშშ დოლარი

- **„საზოგადოების მედეგობის გაზრდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფორმაციისა და ანალიზის ხელმისაწვდომობის გზით“** - დონორი: ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR), ბიუჯეტი: 39 995 ფუნტი სტერლინგი